



უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ზოსკო, წდგ

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი **ზოსკალიდი**

1.2 გამოყენების სფერო **ფუნგიციდი**

1.3. მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი: H. I. "Zupa" d.o.o. ჰ.ი. „ჟუპა“ დ.ო.ო.
მისამართი: Šandora Petefija bb, 37000 Kruševac Srbija სანდორა პეტერფია ბბ, 37000 კრუშევაც სერბეთი
ტელ/ფაქსი: +381 (0)37 424– 476
ელ–ფოსტა: www.hizupa.rs

პარაგრაფი 2. მავნე ზემოქმედების სახეები და მათი წარმოქმნის პირობები

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ
კლასიფიკაცია ქიმიური ნივთიერებისა და ცალკეული პროდუქტების კლასიფიკაციის, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეკლამის რეგულაციების შესაბამისად („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 52/2017 – CLP/GHS-UN² ამ ფრჩხილს დახურვა არ უნდა?
მწვავე ტოქსიკურობა, პერორალური კატეგორია 4; H302
მწვავე ტოქსიკურობა, ინჰალაციური კატეგორია 2; H330
თვალის სერიოზული დაზიანება, კატეგორია 1; H318
წყლისათვის მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 1; H400
წყლისათვის ქრონიკული ტოქსიკურობა, კატეგორია 1; H410

2.2 შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ქიმიური სახელწოდება	CAS No.	შედგენილობა%
ფლუმინოქსაზინი	188425-85-6	50
კალციუმის ლიგნოსულფონატი (ემულგატორი)	8061-52-7	5
ნატრიუმის დოდეცილ ბენზოსულფონატი (ემულგატორი)	25155-30-0	3
უწყლო ნატრიუმის სულფატი (დეზინტეგრანტი აგენტი)	15124-09-1	7
კაოლინი (შემავსებელი)	1332-58-7	100%-მდე

პარაგრაფი 3. საფრთხეების იდენტიფიკაცია

ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, შეუძლია გამოიწვიოს ხანგრძლივი მავნე ზემოქმედება წყლის გარემოზე.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

ჩასუნთქვისას: პაციენტი ამყოფეთ მშვიდად, გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე, მიმართეთ ექიმს.

კანზე მოხვედრისას: კანზე მოხვედრისას დაუყონებლივ ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლითა და საპნით. თუ გაღიზიანება გამოვლინდება, მიმართეთ ექიმს.

თვალში მოხვედრისას: დაზიანებული თვალები გახელილ მდგომარეობაში გამოირეცხეთ გამდინარე წყლით 15 წუთის განმავლობაში. კონსულტაციისთვის მიმართეთ ოკულისტს.

ჩაყლაპვისას: სასწრაფოდ გამოირეცხეთ პირის ღრუ, შემდეგ დალიეთ დიდი რაოდენობის წყალი, მიმართეთ ექიმს. არასდროს არ გამოიწვიოთ ლებინება და არ გადააყლაპოთ არაფერი უცნობ მდგომარეობაში ან კონველსიაში მყოფ



დაზარალებულს.

მითითება ექიმს: მკურნალობა: მკურნალობა სიმპტომების შესაბამისად (გაუსწებოვნება, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციები), ცნობილ სპეციფიკური ანტიდოტის გარეშე.

პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები: წყლის ჭავლი, ნახშირორჟანგი, ქაფი.

სპეციფიკური საფრთხეები: ნახშირორჟანგი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის ოქსიდები. აღნიშნული ნაერთები/ნაერთთა ჯგუფები შეიძლება გამოთავისუფლდეს ხანძრის დროს.

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა: გამოიყენეთ ავტონომური სასუნთქი მოწყობილობა და ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი სპეცტანსაცმელი.

დამატებითი ინფორმაცია: ხანძრის/ან აფეთქების შემთხვევაში არ ჩაისუნთქოთ ორთქლი. ცეცხლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კონტეინერები გააგრილეთ წყლის შესხურებით. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე, არ დაუშვათ კანალიზაციაში ან სანიაღვრე სისტემებში მოხვედრა. ხანძრის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის უტილიზაცია მოახდინეთ ოფიციალური წესების შესაბამისად.

პარაგრაფი 6. ავარიული და საგანგებო სიტუაციებისა და მათი შედეგების აღკვეთისა და ლოკალიზაციის ღონისძიებები

უსაფრთხოების ზომები: გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. არ დაუშვათ მტვრის წარმოქმნა. თავიდან აიცილეთ პრეპარატის თვალეზზე, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრა.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები: არ დაუშვათ საზოგადოებრივი სანიაღვრეების, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურება. შეატყობინეთ ადგილობრივ წყალმომარაგების კომპანიას, თუ გამონაჟონი ჩაედინება კანალიზაციაში, ასევე გარემოს დაცვის სააგენტოს (ინგლისი და უელსი), შოტლანდიის გარემოს დაცვის სააგენტოს (შოტლანდია), ან მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის სამსახურს (ჩრდილოეთ ირლანდია), თუ ის ჩაედინება ზედაპირულ ან გრუნტის წყლებში. მოარიდეთ ადამიანები და ცხოველები.

დასუფთავებისა და შთანთქმის მეთოდები:

მცირე რაოდენობის დროს: შეაგროვეთ მტვრის შემკვრელი მასალით და მოახდინეთ უტილიზაცია.

დიდი რაოდენობის დროს: მოგავეთ/მოწმინდეთ. გულდასმით გაწმინდეთ იატაკები და საგნები წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ეკოლოგიური ნორმების დაცვით. ნარჩენები შეაგროვეთ შესაბამის კონტეინერებში, რომელთა მარკირება და დალუქვა არის შესაძლებელი. დაწვით ან გაიტანეთ ნარჩენების განთავსებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ტერიტორიაზე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. გამოყენება და შენახვა

დამუშავება: განსაკუთრებული ზომები არ არის საჭირო, თუ ინახება და გამოიყენება სწორად.

შენახვა: შეინახეთ საკვები პროდუქტებისა და ფურაჟისგან განცალკევებით. დაიცავით ნესტისგან. შეინახეთ სითბოს წყაროებისგან შორს. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. დაიცავით 30°C-ზე მაღალი ტემპერატურისგან. პროდუქტის თვისებების ცვლილება შეიძლება მოხდეს, თუ ნივთიერება/პროდუქტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახება ზემოთ აღნიშნულ ტემპერატურაზე.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

სუნთქვის ორგანოების დაცვა: არასაკმარისი განიავების შემთხვევაში გამოიყენეთ რესპირატორი. სუნთქვის ორგანოების დაცვა ორთქლის/აეროზოლის გამოყოფისას. საშუალო ეფექტურობის ნაწილაკების ფილტვი მყარი და თხევადი ნაწილაკებისათვის



(მაგალითად, EN 143, ან 149, ტიპი P2 ან FFP2).

ხელების დაცვა: შესაბამისი ქიმიურად მედეგი დამცავი ხელთათმანი (EN 374), აგრეთვე ხანგრძლივი პირდაპირი კონტაქტისათვის (რეკომენდებულია: დაცვის ინდექსი 6, რომელიც შეესაბამება შეღწევის დროს > 480 წთ–ს EN 374 შესაბამისად): მაგალითად, ნიტრილური კაუჩუკი (0,4 მმ), ქლოროპრენული კაუჩუკი (0,5 მმ), ბუტილკაუჩუკი (0,7 მმ) და სხვა.

თვალების დაცვა: უსაფრთხოების სათვალეები გვერდითი ფარებით (ჩარჩოიანი სათვალეები) (მაგალითად, R166).

სხეულის დაცვა: სხეულის დამცავი საშუალებები უნდა შეირჩეს მოქმედებისა და შესაძლო ზემოქმედების მიხედვით, მაგალითად წინსაფარი, დამცავი ჩექმები, ქიმიური დამცავი სპეცტანსაცმელი (შეფხვის შემთხვევაში EN 14 605 და EN ISO 13982 მტვრის დროს).

პარაგრაფი 9. ფიზიკურ – ქიმიური თვისებები

ფორმა: წვრილი გრანულები

ფერი: მონაცრისფრო–ყავისფერი

სუნი: სუსტი სპეციფიკური

pH მნიშვნელობა: 5.0–8.0

სუსპენზირება: 75% მინ

პარაგრაფი 10. მდგრადობა და რეაქტიულობა

რეაქციის უნარიანობა: რეკომენდაციების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს არ იშლება.

ასარიდებელი ნივთიერებები: მონაცემები არ არის.

სახიფათო რეაქციები: რეკომენდაციების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს სახიფათო რეაქციები არ არის.

საშიში დაშლის პროდუქტები: რეკომენდაციების/მითითებების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს საშიში დაშლის პროდუქტები არ წარმოიქმნება.

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

პერორალური: LD₅₀ > 5000 მგ/კგ (ვირთაგვა)

დერმალური: LD₅₀ > 2,000 მგ/კგ (ვირთაგვა)

ინჰალაციური: LC₅₀ (4 საათი) > 5000 მგ/მ³ (ვირთაგვა)

გალიზიანება: არ აღიზიანებს კანს (კურდღელი), მსუბუქად აღიზიანებს თვალებს (კურდღელი)

სენსიბილიზაცია: გამოკვლევა არ გამოიყენება, რადგან გამომწვევი დოზა იყო არასაკმარისი (ზღვის გოჭი)

პარაგრაფი 12. გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია

თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა: LC₅₀ (96 სთ) 100მგ/ლ, *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი)

წყლის უხერხემლოების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა: EC₅₀ (48 სთ) 50 მგ/ლ. *Daphnia magna* (წყლის რწყილი)

წყლის მცენარეები: EC₅₀ (72 სთ) 4,50 მგ/ლ, *Pseudokirchneriella subcapitata* (მწვანე წყალმცენარეები)

პარაგრაფი 13. რეკომენდაციები ნარჩენების უტილიზაციის შესახებ



13.1 ნარჩენების მართვა

პროდუქტი:



პროდუქტი არ უნდა მოხვდეს კანალიზაციაში და გარემოში. დაღვრილი ქიმიური ნივთიერება შეიწოვება ან სუფთავდება და თავსდება მარკირებულ კონტეინერებში.

მოეყარით საშიში ნივთიერებებისა და საშიში ნარჩენების უტილიზაციის შესახებ სერბეთის რესპუბლიკის მოქმედი წესების შესაბამისად.

ტარა:

უტილიზაცია მოახდინეთ საშიში ნარჩენების ტარის შესახებ სერბეთის რესპუბლიკის მოქმედი წესების შესაბამისად.

პარაგრაფი 14: უსაფრთხო ტრანსპორტირების შესახებ მოთხოვნები

14.1. გაეროს ნომერი	3077
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი ნივთიერება
	
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	არ არის
14.7. დაუფასოებელი ტვირთების (ნაყარის) სახით გადაზიდვა	არ გამოიყენება

პარაგრაფი 15: ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარჩენებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

კანონი ქიმიური ნივთიერებების შესახებ („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“, № 36/2009, 88/2010, 92/2011 და 03/2012)

კანონი სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირების შესახებ („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“, № 88/2010)

ინსტრუქციები უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის შინაარსის შესახებ („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 100/11)

კლასიფიკაცია ქიმიური ნივთიერებებისა და ზოგიერთი პროდუქტის კლასიფიკაციის, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეკლამის შესახებ რეგულაციის შესაბამისად („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 59/10, 25/11 და 5/12)

კლასიფიკაცია ქიმიური ნივთიერებებისა და ზოგიერთი პროდუქტის კლასიფიკაციის, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეკლამის შესახებ რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალურ ჰარმონიზებულ სისტემას. („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 105/13)

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.



პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

თარიღი: 20 ივლისი 2018

გადახედვის თარიღი: ორიგინალი

უსაფრთხოების მონაცემების ფურცელში გამოყენებული აბრევიატურების და აკრონიმების სია:

vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი.
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური.
LD50	ლეტალური დოზა 50% შეესაბამება ტოქსიკური ნივთიერების დოზას, რომელიც იწვევს საკვლევი პოპულაციის 50%-ის დაღუპვას.
LC50	ლეტალური კონცენტრაცია 50% შეესაბამება ტოქსიკური ნივთიერების დოზას, რომელიც იწვევს საკვლევი პოპულაციის 50%-ის დაღუპვას.
ADR	ავტოსაგზაო გადაზიდვები.
RID	სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვები.
kat.	კატეგორია
Vod. alive. sred. – hron. 1	წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, ქრონიკული, კატეგორია 1
Vod. alive. sred. – ak 1	წყლის გარემოს მიმართ საშიშროება, მწვავე, კატეგორია 1

ძირითადი ლიტერატურა და მონაცემთა წყარო

- ქიმიური ნივთიერებებისა და ზოგიერთი პროდუქტის კლასიფიკაციის, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეკლამის წესები. („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 59/10, 25/11 და 5/12)
- ინსტრუქციები უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის შინაარსის შესახებ („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 100/11)
- კლასიფიცირებული ნივთიერებების ჩამონათვალი („სერბეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე“ № 82/10)

გაფრთხილებებისა და გამაფრთხილებელი ნიშნების ჩამონათვალი

სახიფათო ზემოქმედების სახეების აღწერა:

H302	მავნეა გადაყლაპვისას.
H330	სასიკვდილოა შესუნთქვისას.
H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H410	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით. ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.
EUH401	

გამაფრთხილებელი განცხადებები

გაფრთხილება:

P284 გამოიყენეთ სუნთქვის ორგანოების დამცავი საშუალებები.

P280 გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები/ დამცავი სპეცტანსაცმელი / დამცავი სათვალე/ სახის დამცავი საშუალებები.

P273 არ გადაყაროთ/ არ უნდა მოხვდეს გარემოში.

რეაგირება:

P305 + P351 + P338 თვალში მოხვედრისას: გულდასმით გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ თვალის გამორეცხვა.

P304 + P340 ჩასუნთქვისას: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე და დარწმუნდით, რომ ის იმყოფება ისეთ პოზაში, რომელიც ხელს არ უშლის სუნთქვას.

P310 სასწრაფოდ დარეკეთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრში ან მიმართეთ ექიმს.

შენახვა:

P405 შეინახეთ ჩაკეტილ სათავსში.

უტილიზაცია:



P501 შიგთავსის/ტარის / (ეს აქ უნდა?) უტილიზაცია სერბეთის რესპუბლიკის კანონების შესაბამისად.

უსაფრთხოების ნიშნები: SP 1 - მცენარეთა დაცვის პროდუქტით ან მისი შეფუთვით წყლის დაბინძურების პრევენცია.

სპეციალური დამატებითი უსაფრთხოების ნიშნები მომხმარებლებისათვის: SPo2 - მცენარეთა დაცვის საშუალების გამოყენების შემდეგ გარეცხეთ დამცავი სპეცტანსაცმელი.

მწარმოებლის რეკომენდაცია

ნატრიუმის ჰიპოქლორიდის გამოყენების, დამუშავებისა და შენახვის შემთხვევაში პერსონალი უზრუნველყავით წერილობითი ინსტრუქციებითა და რისკების, საფრთხისა და სიფრთხილის ზომების შესახებ რეკომენდაციებით.

მუდმივად დაატრენინგეთ თქვენი თანამშრომლები.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა პროდუქტის შესახებ ჩვენს ცოდნას. ის არ წარმოადგენს პროდუქტის ხარისხის გარანტიას. ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას ნებისმიერ შედეგზე და / ან აქ მოწოდებული ინფორმაციის არასწორად გამოყენებაზე.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის დასასრული